**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:**
მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ვიწრო სფეროს მიხედვით:

082 მეტყევეობა Forestry;

081 სოფლის მეურნეობა Agriculture ;

051 ბიოლოგიური და მასთან დაკავშირებული მეცნიერებები (დეტალური სფერო- 0511 ბიოლოგია Biology);

052 გარემო Environment;

061 ინფორმაციის და კომუნიკაციის ტექნოლოგიები Information and Communication Technologies (ICTs);

071 ინჟინერია და საინჟინრო საქმეEngineering and Engineering Trades (დეტალური სფერო-0712 გარემოს დაცვის ტექნოლოგია Environmental Protection Technology).

რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები).

გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს ვებგვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე https://gtu.ge/apply/masters.php

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის შემდეგ, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა.

აპლიკანტებს, რომლებსაც განათლება მიღებული აქვთ საზღვარგარეთ (გავლილი აქვთ ინგლისურენოვანი პროგრამა) გამოცდის ჩაბარება ან სერთიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ.

აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერთიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ის კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში.

გარე მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად.

შიდა მობილობა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საგანმანათლებლო პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებ გვერდზე, როგორც სიახლეების ველში, ასევე სწავლების დეპარტამენტის გვერდზე ხდება ინფორმაციის განთავსება საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესებისა და პროცედურების შესახებ. ფაკულტეტის ვებ გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პროგრამაზე დაშვების წინაპირობას ასევე მის შინაარსობრივ მხარესაც.

| |
|---|
| უნივერსიტეტის სწავლების დეპარტამენტის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდზე, ასევე ფაკულტეტის ვებგვერდზე მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია. ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია და ნებისმიერი საკითხის შესახებ კონსულტაცია, როგორც სატელეფონო, ასევე ელექტრონული ფოსტის საშუალებით. |
| **პროგრამის მიზანია:**<br>✓ მოამზადოს სატყეო დარგის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინოვაციური მეთოდების გამოყენების უნარის მქონე, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, საერთაშორისო მოთხოვნების შესატყვისი სატყეო საქმის მაგისტრი;<br>✓ ჩამოუყალიბოს სატყეო სფეროს მართვის, ინოვაციური საქმიანობის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, საქმიანობის კრიტიკული გააზრების, დაგეგმვის და ახალი, ორიგინალური გზებით სატყეო სექტორის განვითარების ხედვის უნარი;<br>✓ შეუქმნას კურსდამთავრებულებს მყარი, უწყვეტი პროფესიული განვითარების შესაძლებლობა, რათა მიღებული განათლებით წვლილი შეიტანონ სატყეო სფეროს ეფექტურ მუშაობაში. |
| **სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)**<br>1. გააჩნია ღრმა და სისტემური ცოდნა სატყეო სფეროს, მათ შორის ტყის მოვლის, დაცვის, აღდგენის, ტყის მდგრადი მართვის უზრუნველყოფისათვის არსებული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შესახებ;<br>2. დეტალურად ახასიათებს ტყეებზე საკუთრების, სამართლებრივ, პოლიტიკურ და ინსტიტუციური მოწყობის სხვადასხვა ფორმებს, პან-ევროპული თანამშრომლობის თანამედროვე მოთხოვნებს; სატყეო სფეროს ძირითად საკანონმდებლო აქტებს და მარეგულირებელ დოკუმენტებს; ტყის მდგრადი მართვის პრინციპებს, ინდიკატორებს და კრიტერიუმებს;<br>3. მოიძიებს და კრიტიკულად აანალიზებს ტყის მდგრად მართვასთან დაკავშირებულ, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებას და ეროვნულ დონეზე არსებულ საჭიროებებთან მიმართებით ამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს;<br>4. დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევებს უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;<br>5. ტყის მდგრადი მართვის დაგეგმვის პრინციპების გათვალისწინებით გეგმავს და ახორციელებს ტყის მართვის შესაბამის ღონისძიებებს;<br>6. თანამედროვე საველე კვლევის ინსტრუმენტებისა და გეოინფორმაციული სისტემების (GIS) გამოყენებით აღრიცხავს და ამუშავებს მონაცემებს, ქმნის მონაცემთა ბაზებს და ამზადებს შესაბამის დოკუმენტებს;<br>7. აანალიზებს ტყის ეკოსისტემებში მიმდინარე პროცესებს, აფასებს ბუნებრივი და ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად მიმდინარე ცვლილებებს და ახდენს რისკების პროგნოზირებას;<br>8. კრიტიკული ანალიზის საფუძველზე პრობლემების ირგვლივ შეიმუშავებს დასაბუთებულ დასკვნებს, უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ახორციელებს ინფორმაციის ინოვაციურ სინთეზს და აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისას აყალიბებს საკუთარ დასკვნებს და არგუმენტებს;<br>9. თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების საფუძველზე, სატყეო საქმის მიმართულებით სტრატეგიულად გეგმავს როგორც საკუთარ ასევე სხვების სწავლასა და საქმიანობას.<br>10. ახორციელებს სწავლასა და საქმიანობას როგორც ინდივიდუალური, ასევე გუნდური მუშაობის პრინციპების გამოყენებით. |
| **შეფასების სისტემა:**<br>შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.<br>დადებითი შეფასებებია:<br>• (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; |

- **(B)** - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- **(C)** - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- **(D)** - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- **(E)** - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- **(FX)** - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- **(F)** - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**კვლევითი კომპონენტი: სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა -** სამაგისტრო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კომპონენტი.

დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი წარმოადგენს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომის წარდგენა, საჯარო დაცვა და შეფასება ხორციელდება ერთჯერადად, შეფასება ხდება 100 ქულით.

შეფასების წესი და პროცედურა განსაზღვრულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 14 აგვისტოს №01-05-04/133 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებით მაგისტრატურის შესახებ“

https://gtu.ge/apply/masters.php

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შეფასების წესი იხილეთ ”საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

https://gtu.ge/students/edu/regulatory-documents/common-rules.php

**სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით**

| № | სასწავლო კურსი | კრედიტი |
|---|---|---|
| 1. | სატყეო ეკოლოგია და კლიმატის ცვლილებები | **5** |
| 2. | ტყის ფონდის აღრიცხვა - შეფასება ტაქსაციის თანამედროვე მეთოდებით | **10** |
| 3. | ტყის მცენარეთა მავნე ორგანიზმები | **5** |
| 4. | საცდელი საქმის მეთოდიკა | **5** |
| 5 | **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსი** | |
| 5.1 | სატყეო ბოტანიკა და ეკოფიზიოლოგია | **5** |
| 5.2 | ტყის ენერგეტიკული რესურსები | |
| 5.3 | ნიადაგის ეკოლოგია | |
| 5.4 | სატყეო სამეურნეო ეკოლოგიური ექსპერტიზა, მონიტორინგი და აუდიტი | |
| 5.5 | სატყეო ინჟინერია | |
| 5.6 | ხე-ტყის პირველადი დამუშავების ტექნოლოგია | |
| 5.7 | ტყეკაფითი ნარჩენების გამოყენების ტექნოლოგია | |

| | | |
|---|---|---|
| 6. | ტყის მართვის საინფორმაციო სისტემები | **5** |
| 7. | ტყეთსარგებლობის ორგანიზაცია | **5** |
| 8. | ტყის კულტივირება და სატყეო სანერგეები | **5** |
| 9. | ტყის დაცვა | **5** |
| 10. | პრაქტიკა სატყეო საქმეში | **10** |
| 11. | **სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები** | |
| 11.1.1 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ინგლისური) | **5** |
| 11.1.2 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (გერმანული) | |
| 11.1.3 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (ფრანგული) | |
| 11.1.4 | საქმიანი კომუნიკაცია უცხოურ ენაზე (რუსული ენა) | |
| 11.2.1 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ) | |
| 11.2.2 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) | |
| 11.2.3 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) | |
| 11.2.4 | დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული) | |
| 12. | აკადემიური წერა | **5** |
| 13. | საქართველოს ტყეები და სატყეო პოლიტიკა | **5** |
| 14. | ტყის ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მეთოდები | **5** |
| | **კვლევითი კომპონენტი** | 40 |